ზურა მელიქიძე – დოლურა (მონოპიესა)

მონოპიესა/პერფორმანსი

ზაზუნა მყავდა.. მიყვარდა.. მოკვდა..

მე ვიღებ წითელ ბურთს ამ დოლურადან.. ჩათვალე, რომ მე ვიქცევი ასე.. და
გავიარეთ ეგ..
ჩათვალე, რომ ვიქცევი.. ვიქცევი, როგორც -ვეცემი.. ხომ ვიქცევი?
ვიქცევი, როგორც გადავიქცევი..
12 საათის შემდეგ კვახად..
გადავიქცევი როგორც წყალი.. ხომ ვიქცევი? მეც ხომ ვიქცევი ოდესმე
ჩამოყალიბებულ..
ყალიბებულლბლბ.. ყალიბებულლუ.. ყალიბულლლლლშით'
ჩა-მო-ყა-ლი-ბე-ბულ…

ალილუია..
ამიტომ, ეს გამოვტოვოთ და ისე განვაგრძოთ..
ძო განძელი დაიბადა..
ამაზე არ ვსაუბრობდით, ხო?

ბულბული მგალობელი ფრინ..
ბულბული? სერიოზულად?

კარგი.. სერიოზულად ..

კოვ'ზი ბზარში ზის..
კოვ'ზი ფენია..
კოვ'ზი ფენია..
კოვზიფრენია!

ჰოდა ზის კოვზი ბარში შენი პერსპექტივებით
შენი საშენი ნიშნებით..
ისვენებს ..
შენ არ იფშვნები..
შენ მაგივრად ის იფშვნება და ილეწება.. ის ქრება.. შენ ხარ..
შენ კოვზი არ ხარ..
ელვასაკრავი შეიკარი..
ელვა სა' კრავი..
შენ კარგი ბიჭი ხარ.. ბიჭი/გოგო, ვინც ხარ..
შენთან შენიშვნები არ მაქვს და ეს შენი შენიც არ მაღიზიანებს.. გიგებ.. ვიზიარებ..

ვიცი და მესმის რომ სხვანაირად უდგები მას..
უდგები.. ეს არაფერია..
ფეხზე უდგები და დგახარ.. აბა რა..
გადმოაფურთხე.. არა, რა ტეხავს?
შენზე ზრდილობიანს ხვალ ნახავენ კიდევ მაგათ დედასაც შევეცი..
ისე, დედამისს რატო შევეცით, როცა ტიპი რაღაცას აშავებს და არ შევეცით, როცა დედამისს უნდა?
აი ეგ რატომ?
ხო ვითომ ისეთი რატოა?..
არადა, რატოა რა..

დავუბრუნდები..
ვიღებ დოლურადან მწვანე ბურთს..
ბურთი ლურჯია.
ბურთი ლურჯია..
არასწორი ბურთია..
ის უჯრაში დარჩა .. ალბათ..
და მე..
ნაკლები შაქრით რომ მიდგას coffee..
ვარ მუნჯი..
იმიტომ, რომ.ეს ბურთი ლურჯია..
ეს ბურთი..

ლურჯია..

კონ’ტაქტის მცდელობა..
ტაქტი იქონიე.. ტაქტი იქონიე.. თავაზიანი იყავი..
ტრაკი იქონიე და თავაზიანი იყავი..
თუ დაზიანდები, თავაზიანი იყავი..
იყავი თავაზიანი, როგორც აქანდაზი.

დოლურადან ვიღებ ხერხემლის მალას.. შეხედე, ეს ჩემი ხერხემლის მალაა.. და ის აქაა..
ყოველთვის აქ იყო, როცა ვარწყევდი..
როცა საცვლიდან ვიღებდი ასოს და გამხმარ მიწაზე ვწერდი ჩემს სახელს..
გამხმარ მიწაზე, სადაც ვწვებოდი და მეძინა..

უძილობა მაქვს..
ამის წინაშე უძლური ვარ..
ჩემი ყველა ნაწილი გაწბილებულია…
ამას რატომ გიყვები? გავაგრძელეთ ..

დოლურა..
დაწინაურდა ათი ბილეთი.. ათივეს ვუსურვებ სწრაფ სიკვდილს.
მე მზრუნველი ვარ და არ მინდა, იწვალონ..
და მერე თავიანთი მოწამეობრივი ნაწილებით მოწამლონ ჩვენი მოწიწებული ნაწიბურები..

წეროები.. მიფრინავენ.. სად?

სინგაპურის დედაქალაქი.. ვინც პირველი დარეკავს, ვაჩუქებთ რაკეტას და წყალს..
და მშობლებს გავუგზავნით საქებარ სიტყვებს..
უებარ სიტყვებს..
იცით? .. საპონს ვეშაპის ქონისგან აღარ ამზადებენ..
ღიმილი.. საპონს თქვენი შვილებისგან აღარ ამზადებენ..
საუზმე-სამხარი-სადილი-ვახშამი-საუზმე-სამხარი..
მე ვფიქრობ, რომ ლან'ჩ'ზე..
უნდა გაგაჩნდეს ზნე
და
ეს ზნე
უნდა გეტყობოდეს..
ეს ზ'ნე უნდა გიტყდებოდეს და თან გაგაჩნდეს..
დანა უნდა გეჭიროს მარჯვენა ხელში, ხოლო, ჩანგალი, მარცხენაში… როდესაც სასურველ ნაჭერს ჩამოითლი, დანას დებ და ჩანგალი გადაგაქვს მარჯვენა ხელში…
ეცადე, ამ დროს არ აცმაცუნო ტუჩები…
იმაზე დიდ ნაჭერს ნუ ჩამოჭრი, რისი პირში მოთავსებაც ერთიანადაა შესაძლებელი… ღეჭე ძლიერად მომუწული ტუჩებით… ამ დროს ოდნავ უკმაყოფილოც ჩანხარ და ეს სიმტკიცეს გძენს…

ასე მაგალითად: როდესაც სკოლაში ხელს იწევ, მნიშვნელოვანია, რომელი თითი გაქვს აღმართული..
როდესაც აღმართზე ადიხარ..
როდესაც ხელს გიწევენ..
როდესაც თავის კონტროლი გიწევს..
როდესაც თვალები გეწვის..
საგულისხმოა, იყო სანიმუშო..
მრავალნაირი და მკაცრი, როგორც სასვენი ნიშანი..
ნიშადურის სპირტი ცხვირში..
A: ირმებზე ნადირობა უზრდელობაა! ბე: ირმებზე ნადირობა უზრდელობაა! გე: ირმებზე ნადირობა უზრდელობაა!
ზნედაცემული გავხდი!
თითს ვიქნევ! და ვიქნევ და ვიქნევ და ვიქნევ და ვიქნევ ამ თითს!
ბოდიში არ არის საჭიირო. გაზაფხული გადამინერგეთ. ბოდიში არ არის წამალი.

გაზაფხული გადამიცილეთ.
ბოდიში არ არის საშველი. გაზაფხული გამომიცვალეთ. ჩემი არ არის გამომიცვალეს. ბოდიში არ არის საშლელი. გაზაფხული გამითბეთ. ბოდიში არ არის ტორშერი. ბოდიში ტრაკში გაითხარეთ! უკან იტაკეთ! კუ-კუუუ.. კარატეზე დავდიოდი. კარატე ბიჭი/გოგო ვიყავი. შეიწიეთ. კუ ნინძა ვიყავი. მუცელი შეისუნთქე- თავი დაიცავი- თავი გადაირჩინე-თავი დაიცავი. ბლოკები ათრიე-თავი გაიმხნევე. ჰერაკლე გახდები- თავი დაიმშვიდე-თავი მოიშუშე-თავი მოიჩრდილე-ტანი მოიკალი. ტანი ყველა ენაში. დგას რადიკალურად. თავი მოაბრუნე! თავი დაიცავი. დაიხსომე მამაცი ბიჭი ხარ.. ბიჭი ხარ/ გოგო ხარ… თუ გაგიჭყეტია? სისხლდენა მალე შეჩერდება-ცხვირი შეგეჭყლიტა. 9:0 თავიდან შეგიძლია დაიწყო. შეგირდი გახდე. მოგვერდი შეგეძლოს. უძვლოდაც რომ დარჩე- უხერხემლოდ. უადამიანოდ. რომ უარყო, უარყო და უარყო. რომ მერე იარო, იარო და იარო

იარო, იარო და დაიჯერო.. რომ ჩაიძირო.. თუ ჩასაძირი ქვა ხარ.. ჩაცხვე თუ ყვირილი ხარ..
რით ვერ ეწევით საკუთარ თავს?
ლებრონ ჯეიმსის ბოტასები გაცვიათ. უკაცრავად, მე მამამისს არ ვიცნობ, მაგრამ ვახსენებ და დიახაც და სწორედ მამამისთან ერთად, რადგანაც მამამისი უტყუარად იქნებოდა სანიმუშო და ფრიად განათლებული ადამიანი და მე ამ დროს ვფიქრობ: რომ ყველა ფრიადი, რაც აქამდე მიგვიღია, სისულელეა.. ფრიგიდუოლი ადამიანების მოგონილი. ამიტომ ყოველთვის ასე იწყება გაკვეთილი. ფეხზე ადექით-ფეხზე გაიხადეთ-ფეხზე დაიხედეთ. წინადადების ბოლოს წერტილი. და მაინც.. როგორც დაბადების დღეზე ნაჩუქარი წყვილი წინდა… აქ საიდან შემოვედით? აქ რომელი გზით შემოვედით? აქ რა გზით შემოვედით? რამდენი ვიყავით? ნავთობი მოვიგონეთ. კი არ აღმოვაჩინეთ, გამოვესარჩლეთ.. გამოვეკიდეთ. ვირბინეთ და ელბაქიძის დაღმართთან წავიქეცი..
მოსარჩელე-მომხვდური-მომჩივანი-მოსამართლე.
საჩვენებელი (სალოკი) თითით კრეფ ანდროიდის სენსორზე სიტყვებს.

ეს’ რა’ მმმ… აკა’ დრე… ass… რა? მაკ… ა.. dre
ეს ass მაკად ‘ რე. მას CAR ადი. დასი. რ. დი. რიჟაბ’ Lee. ც… ლი… ც… ჰმ… უკაცრავად… ი… ტუჩები სწორად მომართე… ი.. და ე..
ეს… ისარი, ისარი, ის არის.. ჰაშტაგ E… ი.. e… YO.. ე- დამოუკიდებლობა… ე- დებულება… ე- ვალდებულება… ხიდი-ხიდი- ე’ რეაქცია.. ე რეაქცია… a სოციაცია… ახლოს დადექი… ახალს რას მეტყვი? აწმყო განგრძობითი… ახლოს იდექი… ახლოს იდექი. რე’ (შენ გტკენენ)- აქცია… შემ გტკეპნიან…
შენ გღებავენ… და ეს აიღე… აიღე-აიღე… დაწინაურდი…
დაწინაურდა, ოჰ, მომიტევეთ, მე დავწინაურდი? მე ? დავწინაუდი?
მოულოდნელად… ეს მოულოდნელია… მე?
ეს რა რეაქციაა? re… რაფა-რაფა… ძილი-ძილი და ნება…

მაპატიეთ… მე გამახსენდა… მე თოჯინა ვარ… და ის უშნო კაცი ისეთი მონდომებით მაკერებდა ხელებს… ის უშნო კაცი… დიახ და არა! მე მახსოვს,. ამას ვერც უარვყოფ , ვერც დავადასტურებ… მტკიცბულებები, სისუსტეები… შეგიძლიათ, მტვერსასრუტში შეინახოთ. მე თოჯინა ვარ და აქამდე მოვედი, სადაც მე ამას მივხვდი… მე თქვენ მოგაწვდით წყალს… მე თქვენ მოგრწყავთ… თუმცა, აქედან როგორ? ეს ხომ პირდაპირი ეთერია? ეს ხომ გადის? არა? დარეკეთ ახლავე… დარეკეთ და დაკარგეთ თავი… დაგვიკავშირდით ნომეზე, რომელიც ეკრანზე გამოჩნდება…

მაკარონის მომზადებაა შემდეგი რუბრიკა… ეს შოუ არავის აინტერესებს… დაუწიეთ რამპას… ვინც არ უნდა იყო მანდ…

მე კი ვიმეორებ… დაწინაურდა ერთი ბილეთი… დაწინაურდა 133 ბილეთი… დაწინაურდა 4579 ბილეთი… დაწინაურდა ორი მილიონ…

2018 წ.